*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2020 წელი

**ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თიანეთის ქუჩის გაგრძელებისა და ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის თიანეთის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, გაგრძელდეს თიანეთის ქუჩა და ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს თიანეთის სახელი , თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X=500401 Y=4616677
X=500489 Y=4616670
X=500576 Y=4616671
თიანეთის ქ.
X=500527 Y=4616670
II შეს.
I შეს.
X=500508 Y=4616495
X=500603 Y=4616430

19/032020973-03

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს.

მოქ. ლამარა გობეჯიშვილი

მცხ. სოფ. წიწამური

ტელ. 577 61 11 27.

პ/ნ: 01027033158

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მცხოვრები სოფ წიწამურში ნაკვეთი 81.08.10.858 გთხოვთ მიანიჭოთ სახელწოდება. (მისამართი)

27.07.2020

ლ. [signature]

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 81.08.10.858

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018945849 - 31/10/2018 10:28:57

მომზადების თარიღი
06/11/2018 11:58:34

## საკუთრების განყოფილება

| ზონა გარდაბანი | სექტორი დიდი ლილო | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| 81 | 08 | 10 | 858 |

მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი წინუბანი

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1000.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:81.08.10.155;

## მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018945849 , თარიღი 31/10/2018 10:28:57
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/11/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:31/10/2018 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ლიზა ბაგაშვილი ,P/N: 01027034113

მესაკუთრე:
ლიზა ბაგაშვილი

აღწერა:

## იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

## ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
71555827885819

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

## N191084194

რეგისტრაციის თარიღი

09.09.2019 წ

ნოტარიუსი: ირმა გოგია
მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა N14.
ტელეფონი: 599 932 798 2 76 37 45

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათასცხრამეტი წლის ცხრა სექტემბერს, მე, ნოტარიუსს ირმა გოგიას, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა 14 მომმართა მოქალაქე – ლიზა ბაგაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის გარიგების შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე ლიზა ბაგაშვილის (დაბ: 01.10.1952 წელს, არბოშიკი, პ/ნ # 01027034113, რეგისტრირებული მისამართზე: დედოფლისწყარო ს. არბოშიკი) პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. მე შევამოწმე მინდობილობის გამცემის ქმედუნარიანობა, შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, დავადგინე მინდობილობის შინაარსი. მე მიმნდობს წავუკითხე ეს მინდობილობა და განვუმარტე მისი შინაარსი. მიმნდობმა დაადასტურა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათასცხრამეტი წლის ცხრა სექტემბერს, მე, ლიზა ბაგაშვილმა (დაბ: 01.10.1952 წელს, არბოშიკი, პ/ნ # 01027034113, რეგისტრირებული მისამართზე: დედოფლისწყარო ს. არბოშიკი), თამარი გობეჯიშვილს (დაბ: 23.02.1984 წელს, თბილისში, პ/ნ # 01027033158, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი კალოუბნის ქ. N 20 კორ. 1 ბ. 46) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. თამარი გობეჯიშვილი უფლებამოსილია მართოს ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა კალოუბანი, # 20, კორპუსი 1, (ნაკვეთი # 17/26), ბინა # 46 (ს.კ # 01.19.20.017.026.01.046) და უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, სოფელი წინუბანი (ს.კ # 81.08.10.858), კერძოდ: მიიღოს ინფორმაცია და/ან ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. შეიტანოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში, შეუცვალოს სტატუსი, მიანიჭოს ნომერი, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში აღმოფხვრას ისინი, მოახდინოს უძრავი ქონებების აზომვა, აზომვითი ნახაზის აღება შესაბამისი დაწესებულებებიდან (ელექტრონული ვერსიის ჩათვლით), მოაგვაროს დაკანონების, გამიჯვნის, ლეგალიზების და რეგისტრაციის საკითხები, მოახდინოს ფართის დაზუსტება აზომვითი ნახაზის შესაბამისად. აწარმოოს გაზიფიცირების/ელექტროფიცირების/წყალმომარაგების საპროექტო/სამონტაჟო სამუშაოები და ჩამაბაროს შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია. მოახდინოს მრიცხველების/აბონენტის რეგისტრაცია, აწარმოოს სამშენებლო საქმიანობა, მოახდინოს პროექტის /დამტკიცება/ შესწორება/გადავადება, წარადგინოს განცხადებები, გადაიხადოს გადასახადები. ჩემი სახელით დაესწროს ბ/მ ამხანაგობის კრებებს ხმის მიცემის უფლებით, ხელი მოაწეროს შესაბამისს ბ/მ ამხ. კრების ოქმებს, სათანადო ორგანოებში წარადგინოს განცხადებები, მათ შორის: სახელწიფო პროექტის ფარგლებში. ჩემი სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს მონაწილეობა მედიაციის პროცესში, და შეასრულოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც საჭირო გახდება უძრავი ქონების ზ/აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

2. ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოსთან ურთიერთობაში, საქართველოს იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, ტექინვენტარიზაციის ბიუროში, შესაბამის კომისიებში, მერიაში, მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, გამგეობაში, საკრებულოში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, სანოტარო ბიუროში, საკუთრების აღიარების კომისიაში, არქიტექტურის სამსახურში, სამოქალაქო რეესტრში, არქივში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინპექციაში, სააღსრულებო ბიუროში, ზედამხედველობის სამსახურში, კომუნალური მომსახურების დაწესებულებებში და ა.შ.

3. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.

4. მინდობილობა გაცემულია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო 2 (ორი) გადაეცა მინდობილობის გამცემს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების -"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა, 2 ლარი, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (№507, 29 დეკემბერი, 2011 წ.)39-ე მუხლისა, დღგ 1.80 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია 13.80 ლარი.

ხელმომწერი

ნოტარიუსი ირმა გოგია

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032028132**
თარიღი: **07/10/2020**
პინი: **9263**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**


ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

საგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე თამარ გობეჯიშვილის 2020 წლის 27 ივლისის საქმე #19/032020973-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს წინუბანში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (ს.კ.81.08.10.858).
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01202834042**
თარიღი: **09/10/2020**
პინი: **2307**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

17-0320283114-03.

**სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს**

**ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს**

**მის: თავისუფლების მოედანი #2**

**ტელ:+995(32)2 15 92 92**

**ქალბატონო თინათინ,**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 07.10.2020 წლის #03-032028132 (07.10.2020წ. #19-01202813158-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი